საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტური თვითმმართველობა

ქ. ბათუმი 24 თებერვალი 2026 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №01

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების 58-ე მუხლის, ბხსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულების მე-9 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვადგენ:

1. გამოცხადდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები და არჩევნების თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 31 მარტი.
2. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში აირჩევა:

ა) სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტიდან - 8 სტუდენტი (დელეგატი);

ბ) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - 4 სტუდენტი (დელეგატი);

გ) მუსიკის ფაკულტეტიდან - 3 სტუდენტი (დელეგატი).

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიაში 2026 წლის 12 მარტიდან 2026 წლის 25 მარტის ჩათვლით, გარდა შაბათ-კვირისა, 10:00 სთ-დან - 17:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ.№19/32, ოთახი №103.
4. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (ივსება ადგილზე);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა, რომ ის სწავლობს ბხსუ-ს იმ ფაკულტეტზე, რომელზეც იყრის კენჭს.

5. ბხსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს ეთხოვოთ ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიაში არაუგვიანეს 2026 წლის 25 მარტისა.
6. განკარგულება განთავსდეს ბხსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სტუდენტური თვითმმართველობის
პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **მ. თავდგირიძე**